პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

14 ნოემბერი
სამშაბათი,
1961 წ.
№ 183 (1819)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

სპარტაკიადის ორგანიზებულად ჩატარებისათვის

როგორც ცნობილია, 1962 წლის 4-11 მარტს ბაკურიანში გაიმართება ზამთრის პირველი საკავშირო სპარტაკიადა. მისი მაღალ დონეზე, ორგანიზებულად ჩატარების მიზნით საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება „ზამთრის პირველი საკავშირო სპარტაკიადის მომზადებისა და მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში სპორტული და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ“.

დადგენილების თანახმად აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის საოლქო, ქუთაისის, თბილისის, გორის, რუსთავის საქალაქო, ახალციხის, ახალქალაქის, ამბროლაურის, ახმეტის, ბორჯომის, ყაზბეგის, მესტიის, ონის, ცაგერისა და წალკის კომკავშირის რაიონულ კომიტეტებსა და სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს დაეკალათ: პრეზიდიუმისა და ბიუროს გაერთიანებულ სხდომებზე განიხილონ საქართველოს ზამთრის სპარტაკიადის მზადებისა და ჩატარების საკითხი, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მიაღწიონ ამ სამზადისში ფართო მასების ჩაბმას და მათს მონაწილეობას რესპუბლიკურ სპარტაკიადაში, ყურადღება მიაქციონ სათხილამურო ბაზების, ტრამპლინების, სლალომის ტრასების, საციგურაოების, ჰოკეის მოედნების, სპორტინვენტარის მზადყოფნას.



ბრძოლა ციხის საგზურისათვის

საბჭოთა ფეხბურთელები გავიდნენ ფინალში

სტამბოლი. თურქეთის არა მარტო სპორტული, არამედ პოლიტიკური პრესაც უდიდეს ყურადღებას იჩენდა 12 ნოემბრის მატჩისადმი სსრ კავშირისა და თურქეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. „დიუნია“, „ჯუმჰურიეთი“, „მილიეთი“ და სხვა გაზეთები ვრცელ ადგილს უთმობდნენ მომავალ მატჩს, ათასგვარ პროგნოზებს აკეთებდნენ და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ თურქებს ჰქონდათ მხოლოდ ერთი გამოსავალი — გამარჯვება. ამ შემთხვევაში მათი გუნდი ქულებით უთანაბრდებოდა საბჭოთა კავშირისას და ღებულობდა დამატებითი თამაშის უფლებას, რომელიც მათ სურდათ იტალიის რომელიმე ქალაქში შემდგარიყო. ამის შესახებ თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ჩვენი დელეგაციის წარმომადგენლებს ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე მიმართა.

ეს აშკარად მეტყველებდა იმაზე, რომ თურქები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი მომავალი შეხვედრისადმი. მათ საგრძნობი ცვლილებები მოახდინეს ნაკრებში, რამდენიმე ახალი მოთამაშე შეიყვანეს მასში, რასაც უფრო ბრძოლისუნარიანი უნდა გაეხადა გუნდი (ნეჯმი, ჯანდემირი, ისმაილი, აიდინი, სუატი). ნაკრების მთავარ მწვრთნელს ს. ჰუპოს რევანშის იმედი ჰქონდა, მაგრამ გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი მეტინი და ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. უმანი გაცილებით უფრო თავშეკავებით ლაპარაკობდნენ ამ გადამწყვეტ მატჩზე.

12 ნოემბერს „მეტჰად-ფაშას“ სტადიონზე მოწინააღმდეგეები გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: **სსრ კავშირი** — იაშინი, დუბინსკი, მასლიონკინი, ჩოხელი, ვორონინი, ნეტო, მეტრეველი, ამბარცუმიანი, გუსაროვი, მამიკინი, მესხი. **თურქეთი** — ნეჯმი, ჯანდემირი, ოსმანი, ისმაილი, სუატი, მუსტაფა, ტარიკი, ჯანი, მეტინი, ახმეტი, აიდინი.

მატჩი თავიდანვე უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა და მისი შედეგი ძირითადად დასაწყისშივე გადაწყდა. საბჭოთა გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი გუსაროვი მე-12 წუთზე გაიჭრა მოწინააღმდეგის კართან და გახსნა ანგარიში — 1:0. რამდენიმე წუთის შემდეგ თურქების კარში გატანილ იქნა მეორე გოლი: მესხმა, რომელმაც საუკეთესოდ ჩაატარა მატჩი, მარცხენა ფლანგზე ზედიზედ მოატყუა ორი მცველი და ძლიერად დაარტყა კარში. ბურთი მოხვდა დაცვის ერთ-ერთ მოთამაშეს, შემდეგ ძელს და დაუბრუნდა მინდორს. აქ მას მიუსწრო მამიკინმა და მეორე ბურთი გაიტანა — 2:0.

ტაიმის დასასრულს თურქები შეტევაზე გადავიდნენ და 45-ე წუთზე მეტინმა გაქვითა ერთი გოლი — 1:2.

ასეთივე დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც, მაგრამ ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა. მატჩი მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა — 2:1.

ამრიგად, ბრძოლა მსოფლიო პირველობის V შესარჩევ ჯგუფში დამთავრდა. მისი შედეგები ასეთია: სსრ კავშირი — 8 ქულა, თურქეთი — 4 ქულა, ნორვეგია — 0 ქულა. ჩილის საფინალო ტურნირში გავიდნენ საბჭოთა ფეხბურთელები.

* * *

ამ დღეს, 12 ნოემბერს გამოვლინდა ფინალის კიდევ ერთი მონაწილე. ამ უფლების მოპოვებისათვის დამატებით მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ შვეიცარიისა და შვეციის გუნდები, რომლებმაც ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს ჯგუფში. ეს მატჩი მოიგეს შვეიცარიელებმა — 2:1, რომლებმაც გაინაღდეს კიდეც ადგილი ფინალში. 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი — შვეციის გუნდი გამოითიშა ჯერ კიდევ შესარჩევ ეტაპზე.

უკანასკნელი მატჩი შედგა II ჯგუფში, სადაც გაერთიანებული იყვნენ საფრანგეთის, ბულგარეთისა და ფინეთის გუნდები. ბულგარელებმა თავიანთ მინდორზე, სოფიაში მიიღეს საფრანგეთის ნაკრები და დაამარცხეს იგი ანგარიშით 1:0. ახლა ფინალში მონაწილეობისათვის უნდა შედგეს დამატებითი მატჩი საფრანგეთისა და ბულგარეთის გუნდებს შორის ნეიტრალურ სტადიონზე, ვინაიდან მათ ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ — 6-6.

* * *

12 ნოემბრის მატჩში სსრ კავშირისა და თურქეთის ფეხბურთელთა გუნდებს შორის შესანიშნავად ითამაშა საბჭოთა ნაკრების მარცხენა გარემარბმა მ. მესხმა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახიფათო იყო თავდამსხმელთა შორის.

სურათზე: მ. მესხი მინდორზე.

ჩილისაკენ...
ნახატი ა. რევაზიშვილისა.

მშვიდობისა და მეგობრობის ესტაფეტა

სადღეს სწორედ ოდესაც მორთული მოსკოვის მაღალ მოედანი. აქ ამას წინათ სტარტი მიეცა მშვიდობისა და მეგობრობის ესტაფეტას.

სტარტის წინ მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ჩეხოსლოვაკია-სსრ კავშირის მეგობრობის ერთთვიურის მე-18 წლისთავს. მიტინგი გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. დემენტიევმა, რომელმაც განაცხადა, რომ სსრ კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის ერთთვიური კიდევ ერთხელ მოწმობს მოძმე ხალხების ურღვევ ერთიანობას, რომლის მიზანია მშვიდობის საქმის განმტკიცება მთელს მსოფლიოში. შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის საელჩოს მრჩევლის მ. პარისის გამოსვლას. რ. დემენტიევმა ესტაფეტა და ჩვენი ქვეყნის მშრომელების მისალმება გადასცა მოტოციკლისტთა გუნდის კაპიტანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ე. კოსმატოვს.

სსრ კავშირის მილიონობით ადამიანების სახელით მისასალმებელ წერილს ხელს აწერენ საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. გრიშინი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოპოვა, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. პავლოვი, სსრკ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე კ. ოსტროვიტიანოვი.

ესტაფეტა გაემართა ჩეხოსლოვაკიის საზღვრისაკენ.

ნ. გაფრინდაშვილი — ყურადღების ცენტრში

ვრნიაჩკა-ბანია

ვრნიაჩკა-ბანია. (ტელეფონით). 12 ნოემბერი ყველასათვის როდი იყო დასვენების დღე. სასტუმროს დერეფნებში დილიდანვე ვერ მოჰკრავდით თვალს თუნდაც ერთ მოჭადრაკეს მაინც, რომელსაც გადადებული პარტია ჰქონოდა. ზოგი მწვრთნელის დახმარებით, ზოგიც მარტო არჩევდა შეწყვეტილ პოზიციას. სხვათა შორის, ზოგიერთ მონაწილეს არ ჩამოჰყოლია მწვრთნელი. მაგალითად, ამერიკელებს — გრესერსა და ლეინს. მხოლოდ გრესერი ჩამოაცილა შეუღლემ, ისიც მალე უკან დაბრუნდა, ვინაიდან დარწმუნდა, რომ მისი ლამაზი ცოლისათვის აქ არაფერია სახიფათო.

გაფრინდაშვილი ამ დღეს თავისუფალი იყო. მისთვის სუფთა ჰაერზე გასეირნება, ვრნიაჩკა-ბანიას კიდევ ერთი გაცნობა, მაგიდის ჩოგბურთის თამაში კარგი დასვენება იქნებოდა. ამ განზრახვას წინ არაფერი ედგა.

იუგოსლავიის გაზეთებმა „ბორბამ“, „პოლიტიკამ“, „სპორტმა“ ვრცელი ადგილი დაუთმეს ლაზარევიჩისა და გაფრინდაშვილის ორთაბრძოლას. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ეს იყო „დიდი ჭადრაკის“ პარტია. მისი პერიპეტიების აღწერისას შენიშნავენ, რომ დარბაზში მყოფ გროსმაისტერებსა და ოსტატებსაც კი უჭირდათ ეთქვათ ვის მხარეზე იყო უპირატესობა. ლაზარევიჩმა პირველმა დაუშვა შეცდომა, რაც გაფრინდაშვილმა „კოსმოსური“ სისწრაფით გამოიყენა. პარტია ნამდვილად შემოიკლიბ მსოფლიო საჭადრაკო პრესას.

მიმომხილველების აზრით ლაზარევიჩმა დაკარგა პირველი ადგილისათვის ბრძოლის შანსები. გაფრინდაშვილის აქციები პირველ ადგილზე საგრძნობლად გაიზარ-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.).

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

1961-1964 წლებისათვის

ვაჟები

(ცხრილი № 1)

თანრიგი	ველოსიპედის კლასი	დისტანცია (კმ-, ბში)							200 მ. ადგილიდან
		50	25	20	15	10	4	1	
სპორტის ოსტატი	სარბოლო	1:50.00	36.40	—	—	—	—	—	—
I	„	1:18.30	38.30	—	—	—	—	—	—
II	„	1:23.00	41.00	32.30	—	—	6.00	1.23	13.0
ჭაბუკთა I	„	—	—	38.30	28.00	18.30	6.30	1.50	15.0
I	ნახ. სარბოლო	1:24.00	41.30	33.00	—	—	6.05	—	—
II	იგივე	1:30.00	44.00	35.00	26.00	—	6.10	1.26	14.0
ჭაბუკთა I	„	—	—	41.00	30.00	19.00	6.45	—	—
მოზრდილთა II	სამგზავრო	—	47.45	38.00	—	18.00	—	—	—
ჭაბუკთა I	იგივე	—	—	—	31.00	20.00	—	—	—

ქალები

(ცხრილი № 2)

თანრიგი	ველოსიპედის კლასი	დისტანცია (კმ- ბში)				500 მ. ადგილიდან	200 მ. ადგილიდან
		20	15	10	3		
სპორტის ოსტატი	სარბოლო	31.30	23.15	—	—	—	—
I	„	33.30	24.45	—	—	—	—
II	„	36.10	26.40	17.30	5.00	46.00	15.00
ჭაბუკთა I	„	—	—	21.00	5.20	50.00	17.00
I	ნახ. სარბოლო	36.30	27.30	—	5.05	—	—
II	„	—	29.30	19.00	5.15	—	—
ჭაბუკთა I	„	—	—	23.00	5.30	—	—
მოზრდილთა II	სამგზავრო	—	31.00	20.30	—	—	—
ჭაბუკთა I	„	—	—	24.15	—	—	—

ვაჟები

(ცხრილი № 3)

თანრიგი	ველოსიპედის კლასი	დისტანცია (კმ- ბში)			
		100	75	50	25
		დისტანციის გავლის დრო			
სპორტის ოსტატი	სარბოლო	2:20.00	1:43.00	—	—
I	„	2:2[illegible].00	1:49.00	1:11.30	—
II	„	—	1:58.00	1:17.15	38.00
III	„	—	—	1:24.00	40.00
I	ნახ. სარბოლო	—	—	1:18.00	—
II	„	—	—	1:25.00	41.30
II	სამგზავრო	—	—	1:28.00	43.30

ქალები

(ცხრილი № 4)

თანრიგი	ველოსიპედის კლასი	დისტანცია (კმ- ბში)		
		25	20	15
		დისტანციის გავლის დრო		
სპორტის ოსტატი	სარბოლო	38.30	30.00	—
I	„	40.00	31.30	—
II	„	43.00	34.00	24.45
III	„	—	—	27.30
I	ნახ. სარბოლო	—	35.00	—
II	„	—	36.30	27.00
II	სამგზავრო	—	38.00	28.30

ველოსპორტი

საგზაჯკეცილო რბოლები და კროსი

საგზაჯკეცილო ინდივიდუალური რბოლები

სათანრიგო ნორმები

ვაჟები და ქალები

სპორტის ოსტატი (სარბოლო ველოსიპედები) — საბჭოთა კავშირის პირველობაზე ან სსრკ თასის გათამაშებაში დაიკავოს I-X ადგილი ვაჟთა შორის და I-VI ადგილი ქალთა შორის.

(ცხრილი № 1-2).

შენიშვნა: 1. ინდივიდუალურ რბოლებში 10 და 50 კმ ვაჟებისათვის, 25 და 15 კმ ქალებისათვის სპორტის ოსტატის წოდება ენიჭება შედეგისათვის, რომელიც აღემატება საკავშირო მიღწევას.

2. შეჯიბრებებზე, რომლებიც ტარდება ქ. ნალჩიკის რაიონში, სპორტის ოსტატის ნორმა ვაჟთათვის 50 კილომეტრზე უდრის 1 საათსა და 14 წუთს, 25 კილომეტრზე 36 წუთს. ქალებისათვის 20 კილომეტრზე — 31 წუთს, 15 კილომეტრზე 23 წუთს.

3. რბოლის დისტანციას 3-50 კილომეტრზე უნდა ჰქონდეს არა უმცირეს ერთი მოსახვევისა და გადიოდეს წრიულ ტრასაზე. სტარტი და ფინიში ერთ ადგილზეა.

4. რბოლები 200-1000 კმ დისტანციაზე უნდა ტარდებოდეს ორივე მხარეს არაუმეტეს საათნახევრის ინტერვალით. თანრიგი ენიჭება ორივე რბოლას საშუალო შედეგის მიხედვით.

საგზაჯკეცილო გუნდური რბოლები

ვაჟები და ქალები

სპორტის ოსტატი (სარბოლო ველოსიპედები) — დაიკავოს I-III ადგილი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ან სსრკ თასის გათამაშებაზე.

(ცხრილი № 3-4).

შენიშვნა: 1. როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდები შედგება 4-4 ველოსიპედისტისაგან; ჩათვლა მესამე სპორტსმენის მიხედვით. შესაბამისი თანრიგი ენიჭებათ მხოლოდ გუნდის მონაწილეებს, რომლებმაც დაამთავრეს დისტანცია დადგენილ დროში. გუნდს, რომელმაც დისტანცია დაამთავრა ჩათვლაში შემავალ სპორტსმენებზე ნაკლები რაოდენობის შემადგენლობით, სათანრიგო ნორმები არ ეთვლება.

2. დისტანციას უნდა ჰქონდეს არანაკლებ ერთი მოსახვევისა ან გადიოდეს წრიულ ტრასაზე. სტარტი და ფინიში ერთ ადგილზეა.

თანამედროვე ხუთჭიდი

სათანრიგო ნორმები

სპორტის ოსტატი — არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაზე, რომელშიც მონაწილეობს სპორტის ორი ოსტატი და რვა პირველთანრიგოსანი, დააგროვოს 4400 ქულა, ამასთან ხუთჭიდის თვითეულ სახეობაში ჰქონდეს არანაკლებ 700 ქულა.

I თანრიგი — არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაზე, რომელშიც მონაწილეობს 10 მეორეთანრიგოსანი სპორტსმენი, დააგროვოს 4000 ქულა.

II თანრიგი — ნებისმიერი მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებაზე დააგროვოს 3.400 ქულა.

III თანრიგი — ნებისმიერი მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებზე დააგროვოს 2.800 ქულა.

სათანრიგო ოთხოვნების შესრულების პირობები

1. სპორტის ოსტატის ნორმატივი შესრულებულად ჩაითვლება თუ ფარიკაობის, სროლისა და ცხენოსნური კროსის მსაჯთა ბრიგადაში იქნება არანაკლებ ერთი საკავშირო კატეგორიის მსაჯი ან ორი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

პირველი თანრიგის ნორმატივი შესრულებულად ჩაითვლება თუ მსაჯთა ბრიგადებში იქნება რესპუბლიკური კატეგორიის ერთი ან პირველი კატეგორიის ორი მსაჯი.

2. სათანრიგო ნორმატივები შესრულებულად ჩაეთვლებათ სპორტსმენებს, რომლებიც წლის განმავლობაში მონაწილეობას მიიღებენ არანაკლებ შემდეგი რაოდენობის შეჯიბრებებში (ხუთჭიდის სრული პროგრამით): სპორტის ოსტატი — ოთხჯერ, I და II თანრიგი — სამჯერ, III თანრიგი-ორჯერ.

საარბიელზე—

მოსკოვი. (ტელეგრაფით). როგორც ცნობილია, საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ იაპონიის თავისუფალი და კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდები. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა პირველი შეხვედრა გაიმართა მოსკოვში. სტუმრების წინააღმდეგ იბრძოდა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი.

პირველად ხალიჩაზე გამოვიდნენ უმჩატესი წონის მოჭიდავეები, მიმდინარე წლის საკავშირო პირველობის პრიზიორი ქ. ჯამილოვი და იაპონიის ჩემპიონი ი. იმკიძუმი. იაპონელმა შეძლო შეხვედრის წმინდად მოგება, რომელიც ერთადერთი იყო ამ შეხვედრაში. მომდევნო წონაში ა. იბრაგიმოვმა (ხსრ კავშირი) ვერაფერი მოუხერხა ს. კაძამას და მხოლოდ ნახევარი ქულა მოუტანა თავის გუნდს.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ქვემსუბუქი წონის მოჭიდავეების, მსოფლიო ჩემპიონ ვ. რუბაშვილისა და ი. ვატანაბეს ორთაბრძოლა. იაპონელი გამუდმებით გარბოდა ხალიჩიდან, რათა როგორმე შეენელებინა მოწინააღმდეგის იერიშები და თავიდან აეცილებინა წმინდა დამარცხება. მართალია, იგი ამას ასცდა, მაგრამ რუბაშვილს გამარჯვება უდავო იყო. ამ ორთაბრძოლის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა.

მომდევნო ორ წონაში იაპონელთა უპირატესობა აშკარა იყო. ჯერ მსუბუქ წონაში კ. აბემ (იაპონი) შეძლო რ. ჯღამაძის ქულებით დამარცხება, შემდეგ კი ი. კანეკომ ასევე მოუგო ვ. გორბატენკოს (ქვესაშუალო წონა). საშუალო და ქვემძიმე წონებში საკავშირო ნაკრების წევრებმა ვ. ლეტუნმა და ბ. გურევიჩმა ქულებით მოუგეს ტ. ისიკავასა და ტ. კავანოს, ხოლო მძიმე წონაში იაპონელებს მონაწილეარ გამოუყვანიათ.

ამრიგად, პირველი მატჩი საბჭოთა კავშირში იაპონელებმა წააგეს 3,5:4,5. აღსანიშნავია ნ. ხუხაშვილის წარმატება. იგი მე-9 წყვილში, რომელიც გუნდურ ჩათვლაში ორ შედიოდა, შეხვდა იაპონიის ჩემპიონს ტ. სატოს. ხუხაშვილი აქტიური იყო მთელი ბრძოლის მანძილზე და მსაჯებმაც ერთხმად მიაკუთვნეს მას გამარჯვება.

ა. კალმახელიძე,
ჩვენი საკ. კორესპონდენტი.

ლ ე ვ ო

მე-2 გვ. № 183 (1819)

იაპონელები

(გაგრძელება)

და მის ყველაზე სერიოზულ მეტოქეებად აღიარებენ კარაკაშნესა და ნედელკოვიჩს. ამ უკანასკნელზე კი იუგოსლაველები ახლა დიდ იმედებს ამყარებენ.

ვრნიაჩკა - ბანიას მინერალურ წყლებს ჯერ კიდევ II საუკუნეში იცნობდნენ ძველი რომაელები. აქ სამი დასახელების წყალია—„სლატინა“, „სნეჟნიკა“ და „ტორლი იზვორი“, რომელთა ბაზაზე შექმნილია სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულება. წყლები ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც შემადგენლობით, ისე ტემპერატურით. ამიტომაც ეტანებიან ვრნიაჩკა-ბანიას ტურისტები. ისინი საღამოობით მოეფინებიან ხოლმე კურორტის ერთ-ერთ მწვანეში ჩაფლულ ცენტრალურ ქუჩას. აქვეა სასტუმრო „სლავოდა“ და დიდი დარბაზი, სადაც მიმდინარეობს შეჯიბრება.

თუმცა ვრნიაჩკა-ბანია მთიან რაიონში მდებარეობს, ჰაერი რბილია და ფიჭვნარის სურნელებითაა გაჟღენთილი.

ტურნირის თითქმის ყველა მონაწილეს უყვარს მაგიდის ჩოგბური, მაგრამ ამ დღეს ნონას გაუჭირდა პარტნიორის მოძებნა. მხოლოდ პოლიქრონიადე, გრესერი, შოდე დე სილანი და რინდერი იყვნენ თავისუფალი. რუმინელი ოსტატი ხშირად ეთამაშება ნონას, მაგრამ ვერ აღწევს წარმატებას. პოლიქრონიადე პროფესიით ჟურნალისტია და უნაც კვიმატი აქვს.

— მოიგე, ნონა, მოიგე. მაგრამ როცა დაფასთან შევხვდებით, დაწყნარდი, აქ მოგებულიც იკმარე.

ტურნირის მონაწილენი, საერთაშორისო ოსტატები არიან (მხოლოდ ჰუნდსურენია მეორეთანრიგოსანი), ისინი მწვრთნელების დახმარებით ცხადია უკეთ არჩევენ პარტიებს. ლაზარევიჩს ეხმარება ოსტატი მინიჩი, ნედელკოვიჩს — საერთაშორისო ოსტატი ჯურაშევიჩი, კარაკაშნეს — საერთაშორისო ოსტატი სილადი, კონარკოვსკას — ოსტატი დოდა, პოლიქრონიადესა და ნიკოლაუს — ოსტატი სეიმეანუ. ამიტომ პარტიების დამთავრება მაღალ შემოქმედებითს დონეზე მიმდინარეობს ხოლმე.

საღამოს ყველა ინტერესით დაესწრო გადადებული პარტიების გათამაშებას. ბორისენკომ გამოიყენა ზედმეტი პაიკი ნიკოლაუსთან და გაიმარჯვა. მეორე პარტია მას არ უთამაშია, ვინაიდან ლეინი გაუთამაშებლად დანებდა. ორი დამარცხება განიცადა ჰუნდსურენმა, რომელსაც მოუგეს ვოლპერტმა და ზატულოვსკაიამ. კარაკაშნემ გაიმარჯვა ზატულოვსკაიასთან. უაიმით დამთავრდა ნედელკოვიჩ-კონარკოვსკას პარტია. ნედელკოვიჩმა სძლია ჰეემსკერკს.

ამ დღეს შედგა ზვორიკინა-ლაზარევიჩის პარტია, მაგრამ იგი დაუმთავრებელი დარჩა. ლაზარევიჩს უიმედო მდგომარეობა აქვს.

მდგომარეობა XI ტურის შემდეგ (14 ნოემბრისათვის)

მონაწილენი	№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
ხ. ჰუნდსურენი (მოხლოლეთი)	1	X	0	0	0	½	½	½	0	0	0	*						
ა. რინდერი (გფრ)	2	1	X	0	0	½	1	½	1	0	*							0
ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია)	3	1	1	X	½	½	1	½	1	*							0	1
ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი)	4	1	1	½	X	½	1	1	0							½	0	0
გ. გრესერი (აშშ)	5	½	½	½	½	X	0	*							1	½	0	0
შ. შოდე დე სილანი (საფრ.)	6	½	0	0	0	1	X							½	0	½	½	0
გ. კონარკოვსკაა (პოლონეთი)	7	½	½	½	0	*		X					0	½	½	½	1	½
ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია)	8	1	0	0	1				X			1	0	0	0	0	0	½
ლ. ვოლპერტი (სსრ კავშირი)	9	1	1	*						X	1	0	0	½	1	0	½	1
ტ. ზატულოვსკაია „	10	1	*							0	X	1	0	0	1	1	0	0
კ. ზვორიკინა „	11	*							0	1	0	X	½	1	1	0	*	*
ნ. გაფრინდაშვილი „	12							1	1	1	1	½	X	1	½	1	1	½
ვ. ბორისენკო „	13						½	½	1	½	1	0	0	X	1	1	1	
ლ. ლეინი (აშშ)	14					0	1	½	1	0	0	0	½	0	X	1		
ა. ნიკოლაუ (რუმინეთი)	15				½	½	½	½	1	1	0	1	0	0	0	X		
მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია)	16			1	1	1	½	0	1	½	1	*	0	0			X	
ა. კარაკაშნე (უნგრეთი)	17		1	0	1	1	1	½	½	0	1	*	½					X

ნ. გაფრინდაშვილი—ყურადღების ცენტრში

უკანასკნელ საათს!

გუშინ, 13 ნოემბერს გვიან საღამოს დამთავრდა XI ტური, რომელშიც ყურადღების ცენტრში იყო გაფრინდაშვილისა და კარაკაშნეს შეხვედრა.

ბრძოლა დაიწყო ფრანგული დაცვით, რომელშიც კარაკაშნემ აირჩია გროსმაისტერ რუბინშტეინის გაგრძელება. მაგრამ დებიუტში მან დაუშვა არასიზუსტე და დაკარგა როქის უფლება. გაფრინდაშვილმა მოიწადინა გამოეყენებინა ეს უპირატესობა, მაგრამ ვერ მონახა თამაშის სწორი გეგმა. უნგრელმა შეძლო ბრძოლის გამარტივებით მეფისათვის თავშესაფარის მონახვა. 27-ე სვლაზე კარაკაშნემ აიმი შესთავაზა გაფრინდაშვილს. ნონამ ათი წუთი იფიქრა და მიუხედავად იმისა, რომ ოდნავ უკეთესი პოზიცია ჰქონდა, გონივრულად მოიქცა — მიიღო საყაიმო წინადადება.

ბორისენკომ ადვილად მოუგო ლაზარევიჩს. პოლიქრონიადე დამარცხდა ჰეემსკერკთან, ხოლო ნიკოლაუ — ლეინთან. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ზვორიკინა უგებს ჰუნდსურენს, ვოლპერტ-ნედელკოვიჩის პარტიაში თანაბარი მდგომარეობაა, გრესერს უპირატესობა აქვს კონარკოვსკასთან, ხოლო ზატულოვსკაიას — რინდერთან.

XI ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს 8,5 ქულა აქვს.



საინტერესო მატჩები პატარა ბურთით

პილზენის (ჩეხოსლოვაკია) „სპარტაკის“ ხელბურთელთა (7×7) გუნდის მწვრთნელმა ზ. პეშელმა ჩვენი ანკეტა ასეთი მონაცემებით შეავსო: ჩეხოსლოვაკიაში ხელბურთი პოპულარული სახეობაა. მარტო სლოვაკიაში 600-ზე მეტი საკლუბო გუნდი არსებობს, რომლებიც სხვადასხვა პირველობაში ღებულობენ მონაწილეობას. პირველ ლიგაში 12 საუკეთესო გუნდი ხვდება ერთმანეთს რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისათვის. უნდა შევნიშნო, რომ ჩვენი „სპარტაკი“ რესპუბლიკის ორგანის ჩემპიონია და თასის მფლობელიც. ამჟამად იგი პირველი ლიგის გათამაშებაში მე-3 ადგილზეა და ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი.

კიდევ რა შეიძლება ითქვას ქ. პილზენის „სპარტაკზე?“ რამდენიმე სიტყვით შეიძლება ვთქვათ, რომ გუნდის კაპიტანი კარელ ჩერმაკი ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის სამგზის მონაწილეა, ხოლო ვაცლავ ერეტს ორ მსოფლიო ჩემპიონატში აქვს მიღებული მონაწილეობა. იაროსლავ კარნოლდი, ზდენეკ ჩერნი და ფრანტიშეკ გერმანი რესპუბლიკის ნაკრების წევრები არიან, კარელ იულეკი და ოტა კრანატი კი ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში შედიან. და კიდევ ერთი: ჩვენმა გუნდმა თავისი არსებობის 12 წლის მანძილზე ჩაატარა 45 საერთაშორისო შეხვედრა, აქედან 42 მოიგო და მხოლოდ სამში განიცადა დამარცხება.

აი, ასეთი მდიდარი სპორტული ბიოგრაფიის მქონე გუნდთან მოუხდა თავისი მეხუთე საერთაშორისო მატჩის ჩატარება თბილისის „ბურევესტნიკს“ — ჯერ კიდევ არც თუ ისე დიდი ბიოგრაფიის მქონე ახალგაზრდა გუნდს, მოგაგონებთ, რომ თბილისელებმა ადრე ჩატარებული ოთხივე საერთაშორისო შეხვედრა გამარჯვებით დაამთავრეს — უნგრეთთან — 14:12, 14:13 და დანიასთან—ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით — 20:13.

ახლა ქ. პილზენის „სპარტაკისა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ პირველი შეხვედრის შესახებ. გუნდები მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: „სპარტაკი“ — ი. ვალენტა (მეკარე), მ. ერეტი, ი. კარნოლდი, ო. კრანატი, ზ. ჩერნია, ფ. გერმანი, კ. ჩერმაკი; „ბურევესტნიკი“ — აბაიშვილი (მეკარე), ექსეულიძე, შელეგია, მაჭავარიანი, ცერცვაძე, ანთაძე, კოპალეიშვილი.

თბილისელები თამაშს ყოველგვარი დაზვერვის გარეშე იწყებენ და წარმატებასაც აღწევენ — პირველი ერთი წუთის მანძილზე ცერცვაძეს 2 ბურთი გააქვს „სპარტაკის“ კარში. მაგრამ თავბრუდამხვევმა იერიშებმა სტუმრები ვერ დააბნია და მალე ანგარიში გათანაბრდა კიდეც — 3:3. მაყურებელთათვის ნათელი შეიქნა, რომ თბილისელებს ძალზე ძლიერ მოწინააღმდეგესთან ჰქონდათ საქმე. სტუმრები თანაბრად ძლიერად თამაშობდნენ ყველა რგოლში, განსაკუთრებით აქტივობდნენ კრანატი (6), ერეტი (3) და იურეკი (4). ეს უკანასკნელი ორი მოთამაშე დროდადრო ცვლიან ერთმანეთს. ამით სტუმრების მწვრთნელი აღწევდა იმას, რომ მოედანზე ყოველთვის ერთი დასვენებული მოთამაშე ჰყავდა. საერთოდ, „სპარტაკის“ მწვრთნელი ზ. პეშელი ამ მატჩში ხშირად ცვლიდა მოთამაშეებს, ხოლო თბილისელთა მწვრთნელი გ. შარაშიძე კი ძირითად შემადგენლობას კარგა ხანს უცვლელად ტოვებდა. სტუმრების მწვრთნელის ექსპერიმენტებმა ვერ უშველა საქმეს. თბილისელებმა მეტოქეს არც ერთხელ არ მისცეს წინ გასვლის საშუალება. მათ მხოლოდ ის შეძლეს, რომ ხუთჯერ გაათანაბრეს ანგარიში (3:3; 4:4; 6:6; 15:15; 17:17). ეს იყო და ეს.

სტუმრები თამაშის პირველ ნახევარში უნარიანად იყენებდნენ ტაქტიკურ ნახაზს, რომლის დროსაც მათი ერთი მოთამაშე მცველის მეურვეობის გარეშე რჩებოდა და გზაც ეხსნებოდა კარისაკენ. თავდაპირველად მასპინძლებმა ალღო ვერ აუღეს სტუმრების თამაშის ამ ვარიანტს და საკმარისი ბურთებიც მიიღეს საკუთარ კარში. შემდეგ ისინი თანდათან გაერკვნენ მდგომარეობაში და თამაშის პირველი ნახევრის 30-წუთიანი ბრძოლა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 12:9. მეორე ნახევრის დასაწყისშივე თბილისელთა კაპიტანს თ. ანთაძეს გუნდი კვლავ წინ გაჰყავს — 13:9. მალე ჩვენი გუნდი ჯარიმდება „უმაღლესი სასჯელით“ — პენალტით. სტუმრების გუნდის ლიდერი ჩერმაკი მას კარგად იყენებს და მასპინძელთა მეკარე აბაიშვილს ისღა დარჩენოდა, რომ ბურთი გამოეტანა კარიდან. საერთოდ უნდა ითქვას, რომ აბაიშვილმა ამ დღეს ნერვიულად ითამაშა და ამიტომ იყო რომ სტუმრებს ყოველთვის მინიმუმამდე დაჰყავდათ განსხვავება ანგარიშში. „უმაღლესი სასჯელით“ ჯარიმდებიან სტუმრებიც. ცერცვაძემ ჩვეული ოსტატობით სპარტაკელთა უკვე მიწაზე გაოთხმულ მეკარეს ბურთი თავზე გადაუგორა და ტაბლოზე აღინიშნა 19:17 თბილისელთა სასარგებლოდ. საბოლოოდ მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 22:18.

ამ მატჩში ცერცვაძემ გაიტანა 9 ბურთი, კოპალეიშვილმა — 5, ანთაძემ — 4, შელეგიამ — 2, ხოლო კარტოზიამ და მაჭავარიანმა — თითო ბურთი.

განმეორებითი შეხვედრა, რომელიც გუშინ შედგა, სავსე იყო დრამატული მომენტებით. გუნდები მოედანზე გამოვიდნენ იმავე საბრძოლო შემადგენლობით, როგორც პირველ დღეს. რევანშის წყურვილით აგზნებულმა სტუმრებმა მასპინძლებს მაღალი ტემპი შესთავაზეს. თბილისელებს სწორედ ეს აწყობდათ და თამაშის დაწყებიდან უკვე მეექვსე წუთზე ანგარიში 3:0 თავის სასარგებლოდ წააყვანეს. შემდგომ ეტაპზედაც წინ ჩვენები არიან — 6:2. სპარტაკელებმა იგრძნეს რა მოახლოებული საშიშროება, შეეცადნენ თამაშში გარდატეხა შეეტანათ. ამას ისინი ახერხებენ კიდეც და თამაშის პირველ ნახევარს თავის სასარგებლოდ — 9:8 ამთავრებენ.

თამაშის მეორე ნახევარში ინიციატივა სტუმრების ხელთაა. ისინი ახორციელებენ რამდენიმე თავბრუდამხვევ შეტევას და ანგარიშს ზრდიან 16:10-მდე. სწორედ ამ დროს თითქოს მომწიფდა მომენტი, როცა ჩვენებს თამაშში გარდატეხა უნდა შეეტანათ, ეს ტაბლოზეც ჩანდა — 16:12, 17:12, 17:13, 17:14, 17:15, 17:16... სპარტაკელთა სასარგებლოდ...

და იმ დროს, როცა თითქოს ანგარიში უნდა გათანაბრებულიყო, მასპინძელთა კარში ზედიზედ 6 ბურთი იქნა გატანილი, რასაც მათ მხოლოდ ერთით უპასუხეს და მატჩი დამთავრდა „სპარტაკის“ სასარგებლოდ — 23:17.

ჯ. ენუქიძე

სურათებზე: ქვევით—ჯ. ცერცვაძემ მოატყუა მეკარე და ბურთი გაახვია ბადეში. ხელბურთში არსებობს წესი, „მცირე ჯარიმა“ — ორი წუთით გაძევება მოედნიდან. ზედა სურათზე თქვენ ხედავთ სტუმრების თავდამსხმელს, რომელიც იძულებულია ორი წუთით „დისვენოს“ წესის დარღვევისათვის.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ლოგიკა ვასილიჯ!

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ე. კუხალეიშვილს, გ. ვაშაკიძეს, თ. ფარჯანაძესა და თ. უთმელიძეს აინტერესებთ გამოჩენილი მწვრთნელის, ელენიო ერერას (იტალია) სპორტული კარიერა და მისი მუშაობის მეთოდები ფეხბურთელებთან.

ე. ერერა ტომით ესპანელია, დაიბადა არგენტინაში. როგორც ფეხბურთის მწვრთნელი, დაწინაურდა საფრანგეთში, სადაც დაამთავრა სათანადო სკოლა. მისი სახელი განსაკუთრებით ცნობილი გახდა ხუთი წლის წინათ, როდესაც იგი სათავეში ჩაუდგა „ბარსელონას“. მისი ხელმძღვანელობით „ბარსელონამ“ არა მარტო რამდენჯერმე მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონობა, არამედ ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბიც გახდა. საყურადღებოა, რომ „ბარსელონას“ მწვრთნელის პოსტზე ერერამ შეცვალა იტალიელი სანდრო პუპო (თურქეთის ნაკრების ახლანდელი მწვრთნელი). „ბარსელონას“ წარმატებებმა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია აიძულა მოეწვია ერერა ეროვნული ნაკრების მწვრთნელად. უნდა ათქვას, რომ ამ პოსტზე ერერას კარიერა წარუმატებელი აღმოჩნდა. მან ვერ აღკვეთა ის მტრული განწყობილება, რომელიც არსებობს „რეალისა“ და „ბარსელონას“ ფეხბურთელებს შორის. ამან კი ნაკრების ჩავარღნა გამოიწვია მსოფლიოს VI ჩემპიონატში, სადაც ესპანელები ფინალში ვერ გავიდნენ. 1960 წელს „ბარსელონას“ პატრონმა, მსხვილმა მრეწველმა მირო სანსმა ერერას კატეგორიულად მოთხოვა მოეპოვებინა ევროპის ჩემპიონთა თასი, მაგრამ ერერამ ვერ შეასრულა დაპირება და იძულებული გახდა გასცლოდა ესპანეთს.

ერერას ხელში მისი ახალი კლუბი „ინტერნაციონალე“ (მილანი), რომელიც დიდი რეპუტაციით სარგებლობს ფეხბურთის სამყაროში, კიდევ უფრო გაძლიერდა. იგი ლიდერობდა იტალიის 1960-61 წლების ჩემპიონატს გათამაშების მთელ მანძილზე და მხოლოდ ფინიშზე დაუთმო პირველობა „იუვენტუსს“. მიმომხილველთა აზრით, აქ ერერამ დაუშვა შეცდომა, არ გაითვალისწინა იტალიის ჩემპიონატის ხანგრძლიობა (გუნდები ატარებენ 38 თამაშს) და სათანადო რეზერვის მომზადებაზე არ იზრუნა. სამაგიეროდ, ერერამ წელს კოლექტივი გაამაგრა და „ინტერი“ ჩემპიონობის უპირველეს პრეტენდენტად ითვლება.

ერერას, როგორც მწვრთნელის, მეთოდი ემყარება უმკაცრეს დისციპლინას. ათი თვის მანძილზე მისი ფეხბურთელები ჩაკეტილი არიან საწვრთნელ ბანაკში, რაიმე სასმელზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საკმარისი იყო გამოჩენილ ფეხბურთელ ანჯელილოს ერთ კალენდარულ მატჩში ერთაკარისი ნირვიტეს მოევლინა (ცოტა ერბინა), რომ მას „ინტერის“ დატოვება მოუხდა. ყოველი მატჩის წინ ერერა ფსიქოლოგიურად ამზადებს ფეხბურთელებს. „ინტერის“ — საწვრთნელ ბაზაზე შეხვდებით პლაკატებს: „ინტერი“ — ეს გამარჯვება!“ და ა. შ. ერერა დიდ ყურადღებას უთმობს გუნდის ფიზიკურ მომზადებას. იგი იწუნებს ყველა ფეხბურთელს, ვინც კი სწრაფად ვერ დარბის. სწორედ ამის გამო „ინტერის“ დატოვება მოუხდა მაღალი ტექნიკის მქონე შვედ ფორვარდ ლინდსკოგს, რომელიც დიდხანს იყო ამ გუნდის „დირიჟორი“. ერერა თამაშის ბრაზილიური სისტემის (4+2+4) თავგამოდებული მომხრეა. ერერამ თავდასხმაში შეარჩია ორი სწრაფი გარემარბი და ორიც ცენტრალური თავდამსხმელი. ერთი ამ ცენტრალურ თავდამსხმელთაგან იერიშების მთავარი დამაგვირგვინებელია, მეორე კი ოდნავ უკან თამაშობს და შეტევის ორგანიზატორია. პირველ „თანამდებობაზე“ ერერას უძლიერესად მიაჩნია გერმანელი უვე ზეელერი, მაგრამ იგი ვერასგზით ვერ იგდო ხელთ და ინგლისელ ჯერი ჰიტჩენსს დასჯერდა. სამაგიეროდ, ერერამ გადაიბირა იერიშების საუცხოო ორგანიზატორი, ესპანელი ლუის სუარესი. მას მიაჩნია, რომ „ინტერის“ კოლექტივის გარდაქმნა უკვე დამთავრდა და აპირებს შედეგების მომკას. როგორც ერერამ „ინტერნაციონალეს“ მეპატრონეს საზეიმოდ აღუთქვა, ეს გუნდი დასავლეთ ევროპაში უძლიერესი გახდება და დაჯაბნის „რეალს“, რომელსაც მან წინათ ვერაფერი დააკლო თავისი „ბარსელონათი“. ჯერჯერობით ერერა აცხადებს, რომ „ინტერნაციონალე“ იტალიის ჩემპიონობას მოიპოვებს.



ცხენოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ურთულესია პარდუბიცის დიდი პრიზი — სტიპლ-ჩეზი. მონაწილეებმა აქ უნდა გადალახონ 31 ძნელად დასაძლევი წინაღობა — სხვადასხვა სახის სიმაღლეები, თხრილები და სხვა. ჟურნალისტები ამ სტიპლ-ჩეზის დისტანციას „ჯოჯოხეთურს“ უწოდებენ და შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენებიც, რასაკვირველია, მხოლოდ ამ აზრისა არიან. არის შემთხვევები, როცა დიდი პარდუბიცის სტიპლ-ჩეზის დისტანციის ფინიშთან ვერ მიდის ვერც ერთი მონაწილე და პრიზი გაუთამაშებელი რჩება.

სურათზე, რომელიც ამოღებულია ჩეხოსლოვაკიის ჟურნალ „სტადიონიდან“, აღბეჭდილია პარდუბიცის დიდ პრიზზე გამართული შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი.



მონტევიდეო. გაიმართა ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში ოლიმპიური ჩემპიონის — ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებსა და ურუგვაელებს შორის. შეხვედრა მოულოდნელად მოიგეს ურუგვაელებმა ანგარიშით 96:81.

მილანი. მატჩში მსოფლიო პირველობაზე კრივში პროფესიონალთა შორის (ქვემძიმე წონა) ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონი, იტალიელი ლოი და ჰერკინსი (ამერიკის შეერთებული შტატები). შეხვედრა ფრედ დამთავრდა და ჩემპიონის წოდება იტალიელმა შეინარჩუნა.

გლაზგო. აქ გაიმართა საერთაშორისო მატჩი კრივში შოტლანდიისა და ესპანეთის გუნდებს შორის. ანგარიშით 12:8 გაიმარჯვეს შოტლანდიელებმა.

სოფია. როგორც გაზეთი „ნაროდენ სპორტი“ იუწყება, გრძელდება შეჯიბრება ფეხბურთში ბალკანეთის თასზე. პირველი ადგილისათვის ბრძოლის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუმინეთის „სტიაგულ რომუსა“ და თურქეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის — „ფენერბახჩეს“ შეხვედრას, ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს რუმინელებმა. ახლა ორივე გუნდს 8 ქულა აქვს, მაგრამ თურქებმა უკვე დაამთავრეს შეჯიბრება, რუმინელებმა კი კიდევ უნდა ჩაატარონ 3 მატჩი. მათი მეტოქე პირველი ადგილისათვის ბრძოლაში არის სოფიის კლუბი „ლევსკი“.

კასაბლანკა. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის სესიაზე გადაწყვეტილება მიიღეს ევროპის ჩემპიონატი ჩატარდეს 1963 წელს, პოლონეთში. მასში დაშვებული იქნება ბელგრადში ჩატარებულ უკანასკნელ ჩემპიონატში გამარჯვებული 12 გუნდი, ხოლო დანარჩენი ოთხი შეირჩევა საკლასიფიკაციო ტურნირში. 1962 წელს ფილიპინებზე მოეწყობა მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა შორის.

სანტ-იაგო. გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში ჩილის ცნობილ კლუბ „კოლოკოლოსა“ და ბრაზილიის „სანტოსს“ შორის. „სანტოსის“ შემადგენლობაში თამაშობდნენ ნაკრების „ვარსკვლავები“ ზიტო (№ 6), კუტინიო (№ 9), პელე (№ 10) და პეპე (№ 11). გაიმარჯვა „სანტოსმა“ (3:2), ორი ბურთი მეტოქის კარში პელემ გაიტანა.

ლისაბონი. ამხანაგურ მატჩში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ექს-ჩემპიონმა „აინტრახტმა“ სძლია (3:2) ფეხბურთში ევროპის ქვეყნების თასის მფლობელ „ბენფიკას“.

ნიუ-იორკი. დიდი ინტერესი გამოიწვია რეი რობინსონის მატჩმა კანადელ გრივსთან. მიუხედავად იმისა, რომ რობინსონი უკვე 41 წლისაა, მან საუცხოოდ ჩაატარა ბრძოლა და მერვე რაუნდში ნოკაუტით გაიმარჯვა.

დუბლინი. აქ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა იტალიის და ირლანდიის მოკრივეთა ნაკრებ გუნდებს შორის. დიდი ანგარიშით (14:6) გაიმარჯვეს იტალიელებმა.

ვარშავა. როგორც გაზეთი „პშეგლონდ სპორტოვი“ იუწყება, პოლონეთში სტუმრად მყოფმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოკრივეთა ნაკრებმა ჩაატარა ორი ამხანაგური შეხვედრა. ბელოსტოკში მან ანგარიშით 8:12 განიცადა დამარცხება პოლონეთის ნაკრებთან, შემდეგ კი ლიუბლინში ასეთივე ანგარიშით აიღო რევანში.

ლოძი. ბუქარესტისა და ლოძის ნაკრები გუნდების მატჩში დამარცხება განიცადა რუმინეთის არაერთგზის ჩემპიონმა დობრესკუმ. გუნდური გამარჯვება (14:6) რუმინელ მოკრივეებს დარჩათ.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში დადგა გადამწყვეტი ეტაპი — მეოთხედფინალები.

მეოთხედფინალში გავიდა თასის ახლანდელი მფლობელი „ბენფიკა“ (პორტუგალია), რომელმაც საკუთარ მინდორზე, ლისაბონში მიიღო ავსტრიის ჩემპიონი „აუსტრია“ (ვენა). პორტუგალიის ფეხბურთელებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს მატჩი და მოიგეს იგი ანგარიშით 5:1.

* * *

ამავე გათამაშების ორი მონაწილე — „პარტიზანი“ (იუგოსლავია) და „იუვენტუსი“ (იტალია) ერთმანეთს შეხვდნენ ბელგრადში. იტალიელებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:1.

* * *

საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში დიდ ინტერესს იწვევდა მატჩი მანჩესტერში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა და იტალიის პროფესიული ლიგების ნაკრები გუნდები. ასეთი ნაკრები ეროვნულისაგან განსხვავდება იმით, რომ მასში მონაწილეობა შეუძლიათ უცხოელ ფეხბურთელებსაც.

მატჩი მოიგო იტალიის გუნდმა ანგარიშით 2:0. აღსანიშნავია, რომ მეორე გოლი ინგლისელთა კარში გაიტანა ამ ქვეყნის ცნობილმა ფორვარდმა ჰიტჩენსმა, რომელიც ამჟამად იტალიის „ინტერნაციონალში“ თამაშობს.

რედაქტორი ი. უგულავა

ᲓᲦᲔᲡ!

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

ᲙᲠᲘᲕᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ
ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ



15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

18 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲓᲐᲜ
10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲛᲓᲔ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲑᲐᲚᲔᲢᲘ ᲧᲘᲜᲣᲚᲒᲕ
„ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ“

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05688